ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 3 აპილის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმი N6.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 თებერვლის N24-2423047202 წერილი.

4. **დასკვნა N1**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ქ. ზუგდიდი **3 აპრილი 2023 წელი**
12:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: გიგა მელია-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N6

ქ.ზუგდიდი **3 აპრილი 2023 წელი**
12:00 სთ

2023 წლის 3 აპრილს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ჯონი ჯიქია (შვებულება), გიორგი კორტავა, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **ბესიკ ჭეჟია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **ბელა მოსია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; **ეკატერინე კიფაია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე; **სანდრო სორდია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე; **ნატალია შეროზია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი; **გიგა მელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი; ---------- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე; ---------- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი; **გ.გ** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება; **ზ.ვ** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება; **მ.შ.** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება; **გ.ი.** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება; **დ.ხ.** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება; **კ.ქ.** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება; **დ.ჯ** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება; ---------- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი; **თ.ხ.** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება; **რ.შ** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება;

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ---------- .

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 13 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: გიგა მელია-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 16 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423047202 მომართვა (რეგისტრაციის N12-252304727-25 16.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სამსახურის უფროსს გიგა მელიას კომისიის წევრებს და კომისიაზე დამსწრეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: (მოხსენების პარალელურად მიმდინარეობს სამსახურის ანგარიშის პრეზენტაცია)

„წარმოგიდგენთ სამსახურის ანგარიშს. სამსახური დაკომპლექტებულია 3 განყოფილებით-სამშენებლო-ინსპექტირების განყოფილება, რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება და საორგანიზაციო განყოფილება. თითოეულზე გადანაწილებულია თავისი ფუნქციები მაქსიმალურად მაღალი ეფექტიანობით როგორ შეიძლება წარმოჩინდეს თითოეული განყოფილების ქმედება და ამის პროპორციულად ნაწილდება დავალებებიც.

რაც შეეხება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას-ეს მოიცავს, როგორც მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს, ასევე მოიცავს სხვა საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ შესყიდული ინფრასტრუქტურული პროექტების ობიექტებს, ეს შეიძლება იყოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ან საავტომობილო გზების დეპარტამენტი ან სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში მოახდენს ინფრასტრუქტურული პროექტის შესყიდვას. სახეობების მიხედვით არ კლასიფიცირდება ამ შემთხვევაში შესყიდული ობიექტი. ჩვენი სამსახურის კონკრეტული თანამშრომელი ჩართულია ამ პროცესში რაღაც ეტაპზე მაინც. ეს შეიძლება იყოს მიღება-ჩაბარების ეტაპი, ეს შეიძლება იყოს უბრალოდ ფორმალური შედგენის ეტაპი, ექსპლოატაციაში მიღების ეტაპი. თუ არ ჩავთვლით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ შესრულებულ ან შესყიდულ სამუშაოებს, თითქმის ყველა სხვა ორგანიზაციის მიერ შესრულებულ სამუშაოებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ჩართულია გარკვეულ ეტაპებზე. მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი ადამიანური რესურსით მაქსიმალური გამჭვირვალობა გვქონდეს და ამისთვის ვაკეთებთ შემდეგს: (ამ მეთოდს ვიყენენდით 2022 წელსაც) ეს არის უპირველესად, რომ არ იყოს ერთ ობიექტზე მიმაგრებული ერთი ან ორი თანამშრომელი, მუდმივად იყოს თანამშრომელთა ცვალებადობა კონკრეტულ ობიექტზე. მაგალითად, ობიექტის საწყის ეტაპზე შეიძლება იყოს ორი

ზედამხედველი, შუა ეტაპისთვის შეიცვალოს ზედამხედველი და შემდეგ ისევ იცვლება ორი ან სამი თანამშრომლით.

რაც შეეხება ჯამურად შესრულებულ სამუშაოებს -ყველა უწყების მიერ შესყიდული სამუშაოები 143 მლნ. ლარზე მეტი იყო, აქედან ყველაში ჩართული იყო ზედამხედველობის სამსახურის გარკვეული თანამშრომლები.

ძირითადი პროექტები, რა შესყიდვებსაც ჩვენ ვახდენთ ეს არის გზების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი ეზოების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (გამარტივებული შესყიდვა) და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ეს უკანასკნელი დღეის მდგომარეობით არც მუნიციპალიტეტში და არც ალბათ არსად ბოლომდე აღმოფხვრილი. ძალიან კარგი იქნება ქალაქს ქონდეს ცენტრალური სისტემა, როგორიც არის მაგალითად, წყალარინების, ასეთ შემთხვევაში ქალაქის უზრუნველყოფას სრულად მოახდენდა, მაგრამ გვაქვს მხოლოდ ლოკალური და ამ ლოკალურით ვცდილობთ მაქსიმალურად იყოს ეფექტურად ვიმუშაოთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: რა რაოდენობის თანხაზე იყო სამსახურის მიერ გამარტივებული შესყიდვები განხორციელებული.

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ განმარტა: „ეს თანხა იყო ცვალებადი 15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარი, 70 000(სამოცდაათათასილარი) ლარი, 80 000(ოთხმოციათასილარი) ლარი და ა.შ. ძირითადად, ეს ტენდერები იყო კორპუსის სახურავებზე, კერძო სახლის სახურავზე, რომელიც სრულად იყო გადახსნილი სტიქიის შედეგად, ასევე კომბინატში საერთო საცხოვრებლის სახურავი, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების. გამარტივებული შესყიდვა იყო მხოლოდ სტიქიაზე და ისიც იყო მხოლოდ ქარიშხლის დროს, სულ 6 (ექვსი) ობიექტი, აქედან 3(სამი) გამარტივებული შესყიდვა, მხოლოდ სახურავებზე.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ტენდერთან დაკავშირებით, ახალსოფლის ხიდის მშენებლობის მაგალითზე მინდა მოგახსენოთ, სახელმწიფოს ორჯერ მეტი უჯდება რეაბილიტაცია, რადგან არ ცხადდება ტენდერი გამარტივებული წესით შესყიდვაზე და ამ ვადაში ნაწილობრივ დაზიანებული ხიდი მთლიანად ჩამოიშალა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ განაცხადა: „დაზიანების აღმოფხვრისთვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა წინასწარ არ ხდება, რაც შეეხება ახალსოფლის ხიდს, ის რაც პირველ ეტაპად გაკეთდა, ნამდვილად ვერ დააზღვევდა იმ დაზიანებისგან, რაც მერე განხორციელდა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, აღნიშნულ სამსახურში არ შედის რა სახის ტენდერი ცხადდება და რანაირად ტარდება, გამომდინარე აქედან გთხოვთ კითხვები დასვათ მათი კომპეტენციის შესაბამისად.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ ხალხის წინაშე, წარმოდგენილი ანგარიში ნაწილია მერიის მთლიანი სამსახურისა, რომელიც ამ ვალდებულებასთან არის კავშირში და ამიტომ დავსვი აღნიშნული შეკითხვა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „მსგავსი კითხვები მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის წარდგენაზე შეგიძლიათ დასვათ, სადაც ყველა კითხვაზე მიიღებთ პასუხს.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: (სამსახურის უფროსმა გააგრძელა ანგარიშის პრეზენტაცია) „2022 წელს გარდამავალი ხელშეკრულების რაოდენობამ შეადგინა 39, რომელიც დასრულდა მიმდინარე წელს. ძირითადად იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტები, რომლებიც ვერ დაკონტრაქტდა 2019-2020 წლებში. დიდი ალბათობით არ იყო ფინანსურად მომგებიანი და ეს პროექტები სრულად დაკონტრაქტდა 2022 წელს. რაც შეეხება სოციალურ სახლებს-ამ სახლების თავდაპირველ პროექტებში ძალიან ბევრი ცვლილებები შედის, რადგან მუნიციპალიტეტი მოწადინებულია პროექტი მოერგოს ბენეფიციარის სურვილს და გემოვნებას. ეს იწვევს ვადების გაზრდას, გახანგრძლივებას. სამწუხაროდ, 2022 წელს 3 ლოტზე ხელშეკრულების შეწყვეტა მოგვიწია არაკეთილსინდისიერი ქმედებისთვის, არახარისხოვანი, არაჯეროვანი შესრულებისთვის. მაგრამ წლის ბოლოს დაკონტრაქტდა ის პროექტები, რომლებიც შეწყვეტილი იყო და ყველა სახლი დასრულდა და ჩაბარდა. 2022

წელს ჯამურად 92 ობიექტი გვქონდა სოფლის მხარდაჭერის ნაწილში, 40 იყო ადგილობრივით, 22 რეგინალურით დაფინანსებული და სტიქიით იყო 6. 2022 წელს ყველა არ დასრულებულა, მაგრამ დღეის მონაცემებით უკვე დასრულებულია ყველა პროექტი.

ინსპექტირებული ობიეტქები:

რეაბილიტირდა **14** კმ-მდე საავტომობილო გზა; დაკონტრაქტებული გარდამავალი ხელშეკრულების შემდგომ აღნიშნული გაუტოლდება **21** კმ-ს.

წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფილ იქნა **287** ოჯახი, მიმდინარე კონტრაქტების დასრულების შემდგომ აღნიშნული რიცხვი გაუტოლდება **358**-ს.

რეაბილიტირდა **4580** გრძ.მ. სანიაღვრე არხი; გარდამავალი ხელშეკრულების შესრულების შემდგომ აღნიშნული გაუტოლდება **4934** მეტრს.

კეთილმოეწყო **7** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შიდა ეზო;

სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირებული ვადების დარღვევისათვის, აგრეთვე საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო თანხის ოდენობამ შეადგინა **535 318,37** ლარი.

2022 წლის **01** იანვრიდან **31** დეკემბრის ჩათვლით გამოვლინდა **85** ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ძირითდად ეს იყო-სახელმწიფო მიწის უნებართვო დაკავება, ფეიბოქსების უნებართვო განთავსება, სამშენებლო და ინერტული მასალებით დანაგვიანება, კეთილმოწყობის წესები დარღვევა, რეკლამის უნებართვო განთავსება, საზოგადოებრივი ადგლებით სარგებლობის თვითნებურად შეზღუდვაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. ცხოველთა პოპულაციის მართვის ცენტრ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების საფუძველზე გაყვანილ იქნა ცხოველთა თავშესაფარში 360 (სამასსამოცი) მიუსაფარი და უპატრონო ძაღლი მათი შემდგომი კასტრაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბირკვის და შემდეგ თავისუფალ არეალში დაბრუნების მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,მონადირეებთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გარემოდან ჩასაფრების წესით ამოღებულია მგლის 5 და ტურის 10 ინდივიდი.

ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი. აღნიშნული პერიოდისათვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებაში შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხი. განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა და ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის და ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და წესების შესრულებაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე. პროექტის, სანებართვო პირობების დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებასთან/და დემონტაჟის განხორციელებაზე, ასევე მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე. რეკლამის, აბრის განთავსების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე, მათ დადგენილ წესებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. აგრეთვე, რეკლამაზე, აბრაზე სახელმწიფო ენის დაცვის მოთხოვნებისა და ტრანსლიტერაციის შესაბამისობაზე. უკანონო, უსახური და

ამორტიზებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმის მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენაზე, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებაზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე. ხეების და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განვითარებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე და დაზიანებაზე. მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციებთან შესაბამისობაზე. უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ კომისიაზე დოკუმენტების მომზადებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადა გადაცილებით შესრულების შემთხვევაში (წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) სათანადო დოკუმენტაციის მომზადებასა და საჭირო პროცედურების განხორციელებაზე. კანონმდებლობით დადგენილი წესით წესრიგის დაცვას მშენებლობის დაწყებასა და მის დასრულებაზე. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების დამრღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმების დაკისრებაზე.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „გასულ წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გავაგზავნეთ წერილი, სადაც მოვითხოვეთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობების შესახებ ინფორმაცია, ჩამონათვალში ნაჩვენები იყო 14 ობიექტი აქედან ერთზე, საკრებულომ და მერიამ ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, მაინტერესებს დანარჩენ 13 ობიექტზე რა გადაწყდა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „უნებართვო მშენებლობაზე სანქცირებას ვერ მოვახდენთ თუ ინფრასტრუქტურის სამსახურში შემოსულია განცხადება შესაძლო ნებართვის მიღებაზე. დასახელებული ობიექტებიდან 7 ობიექტზე ნებართვა უკვე გაცემულია, რაც შეეხება დანარჩენ ობიექტს, წარმოების დასრულებამდე შეუძლებელია ლეგალიზებისა და დემონტაჟზე გადაწყვეტილების მიღება.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მაინტერესებს ცოტნე დადიანის პირველ შესახვევში არსებულ ობიექტთან დაკავშირებით რა ხდება და თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე მშენებარე ეკლესიის უკანა ტერიტორიაზე არსებულ ობიექტთან დაკავშირებით არის თუ არა ნებართვა გაცემული.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „აღნიშნულ ობიექტზე მეპატრონეს ჯარიმა სამჯერ გადახდილი აქვს, დარჩა შემდგომი ეტაპი იძულებითი დემონტაჟი ან გენ-გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა. როგორც ჩემთვის ცნობილია, სამეზობლო ნაწილი შეისყიდა ფიზიკურმა პირმა და მას კოეფიციენტები აძლევს უფლებას, რომ დააკმაყოფილოს სანებართვო მოთხოვნები. ეკლესიის უკან მდებარე ობიექტის ნებართვასთან დაკავშირებით არ ვფლობ ინფორმაციას.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო გიგა, არ ფლობთ ინფორმაციას კი არა, არ ამბობთ, რადგან აღნიშნული შენობა კერძო პირის მიერ განთავსებულია სხვის ტერიტორიაზე უნებართვოდ.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, თუ იცით, რომ აღნიშნული შენობა უნებართვოდ არის აშენებული სხვის ტერიტორიაზე, ეს შეგიძლიათ მოკითხოთ ალიკა ქობალიას, რადგან მუნიციპალიტეტის მერია ნამდვილად არ არის მის დროს აშენებულ შენობა-ნაგებობის სამართალმემკვიდრე.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მაინტერესებს 2022 წელს განსახორციელებელი პროექტებიდან, რამდენია დასრულებული და არის თუ არა ისეთი პროექტები, რომლებიც არ დაწყებულა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „2022 წელს განსახორციელებელი პროექტებიდან ექვს პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, ხოლო ისეთი პროექტი, რომელიც არ დაწყებულა არ გვაქვს.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ბაზრის უკანა ტერიტორიის მოწესრიგებასთან დაკავშირებით თუ გაქვთ რაიმე გეგმა, რადგან დამეთანხმებით, რომ იქ ფეხით მოსიარულე ადამიანსაც უჭირს ნორმალურად გავლა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „კანონით გარე ვაჭრობის შეზღუდვა არის პოლიციის ფუნქცია, მაგრამ არის დიდი მოლოდინი იმისა, რომ შევიდეს ცვლილება და მუნიციპალიტეტმა სივრცის შეზღუდვასა და სანქცირებაზე რაღაც გეგმა შეიმუშაოს.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „ბატონო კახაბერ კარგი იქნება, რომ ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განცხადებით მიმართოს პოლიციას.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „გეთანხმებით რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე პარკირება მოსაწესრიგებელია. ჩვენ რამდენჯერმე დავაინიციერეთ ეს საკითხი, მივმართეთ პოლიციას და ზედამხედველობის სამსახურთან ერთად მოვახდინეთ გარე ვაჭრობის შეზღუდვა, რა თქმა უნდა ეს ზოგიერთი ჩვენი მოქალაქისთვის არ იყო და არც იქნება სასიამოვნო, მაგრამ ჩვენ მათ უნდა შევთავაზოთ ალტერნატიული ფართი, სადაც შეძლებენ თავიანთი საქმიანობის გაგრძელებას. თუ ვიქნებით ერთიანი და ეს საკითხი ზოგისთვის არ იქნება მანიპულირების საგანი, მერწმუნეთ რომ ერთად შევძლებთ ამ პრობლემის მოგვარებას.“

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ბასილაიამ აღნიშნა: „აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობას ძირითადად ახდენენ კერძო პირები, რომლებმაც იყიდეს კომერციული ფართები და აწარმოებენ კერძო ბიზნესს, თუმცა ეს ფართი საწყობად გამოიყენეს და გასაყიდი საქონელი ტროტუარზე გამოიტანეს. აღნიშნულ ფაქტზე სურსათის უზრუნველყოფის სამსახურიც გარკვეულ პასუხისმგებლობას უნდა იზიარებდეს, რადგან თევზის კონსერვი, სოსისი, ძეხვი და მსგავსი ტიპის საკვები პროდუქტი ქუჩაში მზეზე არ უნდა იყიდებოდეს. ეს არის კომპლექსური დარღვევა სხვადსხვა სამსახურის მიმართულებით. ძალიან დიდი პრობლემა არის ისიც, რომ თუ ბაზარში შიგნით გაჩნდა ცეცხლი ვერანაირად ვერ შეაღწევს სახანძრო იქ შეღწევას.“

აზრი გამოთქვეს: სანდრო სორდიამ აღნიშნა: „ვეთანხმები კოლეგას და ყველა ვამბობთ, რომ ქალაქში აღნიშნული პრობლემა მოსაგვარებელია, მაგრამ საჭიროა შევიმუშაოთ სტანდარტები, რომ არ იყოს აზრთა სხვადასხვაობა და ერთობლივად მივმართოთ მუნიციპალიტეტის მერიას.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ბატონო თემურ იყო ის ფაქტიც, რომ ჩვენ ათვისებული სივრცე ტროტუარისა გავათავისუფლეთ და დღესაც შეიძლება ამის დაორგანიზება. რაც შეეხება ბაზრის შიდა ტერიტორიას, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით მოხდა ბაზრის შესასვლელის გაფართოება წინა მხრიდან ბოლო უკანა გასასვლელამდე.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „მაინტერესებს, იცით თუ არა მიზეზი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შერჩეული, დაუსრულებელი ობიექტების შესახებ და აგრეთვე მაინტერესებს არის თუ არა ხელმეორედ დაჯარიმების ფაქტები.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „ხელმეორედ დაჯარიმების ფაქტები გვაქვს სამუშაოს დაუსრულებლობის ვადის გახანგრძლივების ნაწილშიც. ჯარიმის გადაუხდელობაც სანქცირებადია, მეორე და მესამე შემთხვევაში გულისხმობს ჯარიმის თანხის ოდენობის გაზრდას, შემდეგ კი გადაეცემა აღსრულების ბიუროს.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მოგესალმებით, ყველანი ვთანხმდებით, რომ გარე ვაჭრობა პრობლემური საკითხი და კომპლექსური თემაა, რომელსაც სჭირდება ერთიანი მიდგომა. როგორც მერია, ისე საკრებულოც უნდა იყოს ჩართული ამ მიმართულებით მის მოწესრიგებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სატელეფონო კომუნიკაცია მქონდა ბატონ ბესიკ ჭეჟიასთან, შესაბამისად, ჩვენ ყველანაირად მზად ვართ ვიყოთ მათთან ერთად და გავიზიაროთ ის პასუხისმგებლობა, რაც მუნიციპალიტეტს აკისრია. ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სამოქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილების შეზღუდვის, გარე ვაჭრობის, ავტო-სატრანსპორტო პარკირების საკითხებზე, მიღებული გადაწყვეტილების, დადგენილების, განკარგულების, ინსტრუქციის წესების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი არის აღნიშნული სამსახურის ვალდებულება, შესაბამისად ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, რაღაც შეზღუდვები არ ეხება მუნიციპალიტეტის მერიას. ბაზრის თემასთან დაკავშირებით მესმის, რომ მარტო ზედამხედველობის სამსახური ამ საკითხს ვერ მიხედავს, მაგრამ რუსთაველის ქუჩის ტროტუარზე გავლა რომ შეუძლებელია ამ მდგომარეობის მოწესრიგება ზედამხედველობის სამსახურს ნამდვილად შეუძლია. შესაბამისად, ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული სამსახური არ მუშაობს ეფექტურად. აღნიშნული სამსახური, ასევე უწევს ზედამხედველობას დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზის მშენებლობას, გამომდინარე აქედან, იმედია მესტიის გზაზე, ნაწულუკუს მონაკვეთში, სანიაღვრე არხთან დაკავშირებულ პრობლემაზე გაქვთ ინფორმაცია და ეს საკითხი გამოსწორდება. ჯუმის ხიდთან დაკავშირებით გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვას ზედამხედველობის სამსახური ვერ მოაგვარებდა, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერია უნდა ყოფილიყო მოწოდების სიმაღლეზე, რომ ეს კონკრეტული ობიექტი შესყიდული ყოფილიყო დროულად. რაც შეეხება უნებართვო მშენებლობებს, სამწუხაროდ ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრია მსგავსი ტიპის შენობები, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გენ-გეგმასთან. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით გავიგეთ ამ სამსახურმა, რამდენ ობიექტს გაუწია ზედამხედველობა, მაგრამ არ არის ასახული პროცესის დროს, რა ტიპის ხარვეზი იქნა აღმოჩენილი და ჰქონდათ თუ არა რაიმე სახის რეაგირება მშენებელ კომპანიებს ამასთან დაკავშირებით. მინდა შევეხო ასევე ერთ სამწუხარო მაგალითს (იყო ფოტო ჩვენება) ბუდაპეშტის ქუჩის კვეთაზე, 2021 წელს უსაფრთხოების მიზნით აშენებულ კედლის საკითხს, რომელსაც საგარანტიო ვადა ეწურება და ბზარები აქვს გაჩენილი. ამ კედლის ზემოთ არის კერძო სახლი, სურათზე კარგად ჩანს თუ რა საშიშროების წინაშეა ეს მოსახლე. ამ საკითხთან დაკავშირებით ორჯერ მივწერე მერიის შესაბამის სამსახურს და პასუხად მივიღე, რომ კომპანია დააჯარიმეთ, მაგრამ არაფერი გაგიკეთებიათ იმისთვის, რომ მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა, უფრო მეტიც, აღნიშნული კომპანია სხვაგან ასრულებს სამუშაოებს ეს კი არის მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა იქცეოდეს ზედამხედველობის სამსახური და მუნიციპალიტეტის მერია.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „ბატონო გიგა, კედელი, რომელზედაც თქვენ საუბრობთ შესწავლილია და არის დაჭიმვაზე მომუშავე კედელი, შესაბამისად რისკი იმისა, რომ ბზარმა რამე შეიძლება გამოიწვიოს არ არსებობს. რაც შეეხება დაჯარიმებას ამორტიზირების დროს აღინიშნებოდა ზედაპირული ბზარები, რომელიც უნდა აღმოეფხვრა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ჰქონდა კონსტრუქციული ნაწილის პრობლემა. აღნიშნულ კომპანიასთან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩვენ ხელშეკრულება არც ერთ ობიექტზე არ გვაქვს დადებული.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ბულვარის ჭადრები არის დაბერებული და მაინტერესებს რატომ არ მოხდა მათი გადაბელვა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა მელიამ აღნიშნა: „რადგან გადაბელვა იწვევს გარკვეული ჯიშების გახმობას, მაქსიმალური შენარჩუნებისთვის საჭიროა ფიტო-სანიტარული დასკვნა, რის შემდეგაც მივიღებთ გადაწყვეტილებას.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ დამატებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

მომხრე: 6 (ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, სოსო გოგოხია, ბეჟან შანავა).

წინააღმდეგი: 7 (გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, კახაბერ ჩანგელია, დავით ფიფია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია).

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“ ჩაითვალა მოუმზადებლად შეფასდა უარყოფითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია